საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/02

ქ.თბილისი

„29" იანვარი 2018 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის დამტკიცების შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 23 მაისის N6/22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ, სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 23 მაისის N6/22 ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს ე) ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით;

„ ე) სატენდერო კომისიის წევრის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ნათია დევდარიანის არ ყოფნის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის წევრად განისაზღვროს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნატალია ჯანელიძე";

2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში;

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

საფუძველი: *სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფის უფროსის ლ. გაგუას 2018 წლის 26 იანვრის N შ10/437-18 სამსახურებრივი ბარათი.*

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოქორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge